



აღსრულების ეროვნული ბიუროს  
თანამშრომელთა

ქვევის ეოდექსი

## პრეამბულა

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - აღსრულების ეროვნული ბიურო (შემდგომში - აღსრულების ეროვნული ბიურო) აცნობიერებს, რა რომ მისი თანამშრომლის (შემდგომში - თანამშრომლის) ქცევა, როგორც სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, ისე სხვა საქმიანობის განხორციელების დროს წარმოადგენს აღსრულების ეროვნული ბიუროს ეფექტური მუშაობის და ავტორიტეტის განმტკიცების მნიშვნელოვან წინაპირობას, რომ აღსრულების ეროვნული ბიუროს საქმიანობის მიზანს წარმოადგენს ქვეყანაში ეფექტური მართლმსაჯულების უზრუნველსაყოფად პირთა დარღვეული უფლებების აღდგენა და კანონიერი ინტერესების დაცვა, ეყრდნობა რა საქართველოს კონსტიტუციასა და კანონებს, კანონის უზენაესობის, კეთილსინდისიერების და მიუკერძოებლობის პრინციპებს, ადგენს თანამშრომლის ქცევის წესებს, რომელთა მიზანია თანამშრომლისადმი დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობის, საზოგადოების ნდობისა და რწმენის ამაღლება.

## კოდექსის მიზანი

წინამდებარე ქცევის კოდექსი განსაზღვრავს თანამშრომლის ქცევის წესებს და პროფესიული ეთიკის ნორმებს.

ქცევის კოდექსის მიზანია, სახელმწიფოსა და საზოგადოების წინაშე დაკისრებული პროფესიული და ზნეობრივი პასუხისმგებლობის გათვალისწინებით დაადგინოს ქცევის წესები თანამშრომლებს შორის პროფესიული ღირსების განცდის დამკვიდრების, თავის საქმიანობისადმი პატივისცემისა და საკუთარი პროფესიისადმი მაღალი ნდობის მოპოვებისთვის.

წინამდებარე დოკუმენტი საჯარო და ხელმისაწვდომია ნებისმიერი მოქალაქისთვის. დოკუმენტის საჯაროობის პრინციპი ემსახურება სააღსრულებო მოქმედების განხორციელებისას თანამშრომლის ქცევის წესების შესახებ მოქალაქეთა ცნობიერების ამაღლებას.

## კოდექსის განმარტება

კოდექსი არ შეიძლება შეზღუდულად იქნეს განმარტებული. მისი დებულებები სრულად ვრცელდება თანამშრომლის ისეთი ქცევის მიმართ, რომლებიც კოდექსში არ არის მოხსენიებული, მაგრამ თავისთავად გამომდინარეობს ამ კოდექსის პრინციპებიდან.

## კოდექსის მოქმედების სფერო

კოდექსის მოქმედება თანაბრად ვრცელდება აღმასრულებლებზე, აღსრულების ეროვნული ბიუროს ადმინისტრაციულ, ასევე სააღსრულებლო საქმიანობასთან პირდაპირ თუ ირიბად დაკავშირებულ პერსონალზე.

## მორალური სტანდარტები

თანამშრომელს გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს, რომ საკუთარი სამუშაო სპეციფიკიდან გამომდინარე, მას საზოგადოების წინაშე, გააჩნია ეთიკური ვალდებულებები.

თანამშრომელი უნდა მოქმედებდეს პატიოსნებისა და პასუხისმგებლობის

მაღალი სტანდარტებით. იგი თავის საქმიანობაში უნდა ხელმძღვანელობდეს კულტურის, თავაზიანობის, ღირსების, ურთიერთპატივისცემის, ნდობის, მიუკერძოებლობის, სამართლიანობისა და ობიექტურობის პრინციპებით, საყოველთაოდ აღიარებული ეთიკის ნორმებით. თანამშრომელი ხელს უნდა უწყობდეს თავისი საქმიანობის მიმართ საზოგადოების რწმენისა და ნდობის განმტკიცებას.

თანამშრომელს უფლება აქვს უარი განაცხადოს ხელმძღვანელობის დავალების შესრულებაზე, თუ ეს უკანასკნელი ეწინააღმდეგება კანონით დადგენილ მოთხოვნებს.

## **ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების დაცვა**

თანამშრომელი პატივს უნდა სცემდეს და იცავდეს საქართველოს კონსტიტუციით, კანონმდებლობით და საერთაშორისო ხელშეკრულებებით აღიარებულ ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს. პიროვნების ღირსების პატივისცემის პრინციპი სავალდებულოა თანამშრომლისთვის.

სააღსრულებო მოქმედების შესრულებისას, თანამშრომელი ვალდებულია არ დაუშვას რაიმე სახის დისკრიმინაცია.

## **საზოგადოებასთან ურთიერთობა**

საზოგადოებასთან ურთიერთობისას თანამშრომელი პატივისცემით უნდა მოეპყროს თანამოსაუბრეებს, საკუთარი მოსაზრებების გამოთქმისას ტაქტიანად უნდა გამოხატავდეს დასაბუთებულ კრიტიკას. თანამშრომელი ვალდებულია პატივი სცეს სხვა პირის სიტყვის, აზრისა და გამოხატვის თავისუფლებას, თუ ამით არ ილახება მესამე პირთა უფლებები და თავისუფლებები.

დაუშვებელია ისეთი შეხედულებების გამოხატვა, რომელიც მიზნად ისახავს პირის შეზღუდვას ან შეურაცხყოფის მიყენებას რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებების, ეროვნული, ეთნიკური თუ სოციალური კუთვნილების, ქონებრივი და ნოდებრივი მდგომარეობის ნიშნით.

საზოგადოებასთან ურთიერთობისას კონფლიქტური სიტუაციის შექმნის შემთხვევაში, თანამშრომელი ვალდებულია შეინარჩუნოს ნონასწრობა და არ გააღვივოს კონფლიქტი.

სააღსრულებო მოქმედების განხორციელებისას, თანამშრომელი ვალდებულია დარწმუნდეს, რომ მოქალაქე სწორად აღიქვამს მის განმარტებებს სააღსრულებო ნარმოების პროცედურის შესახებ.

თანამშრომელმა არ უნდა შეუზღუდოს მოქალაქეს დარღვევის ან შეუფერებელი ქმედების გასაჩივრების თავისუფლება.

დაუშვებელია მოქალაქესთან ურთიერთობისას ხმამაღლა საუბარი ან შეუფერებელი სიტყვებისა და ჟარგონების გამოყენება;

დაუშვებელია მოქალაქისგან მატერიალური სახის ნახალისების მიღება.

## **სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენება**

თანამშრომელი ვალდებულია მისთვის მინიჭებული უფლებამოსილება გამოიყენოს მხოლოდ კანონით მკაცრად განსაზღვრული მიზნებისათვის.

დაუშვებელია:

- ა) სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენება ნებისმიერ პირზე უკანონო ზეწოლისათვის;
- ბ) სამსახურებრივი დროისა და ქონების, ასევე სხვა თანამშრომელთა დროისა და ქონების გამოყენება არასამსახურებრივი მიზნებისათვის;

თანამშრომელი ვალდებულია თავი შეიკავოს საჭიროების გარეშე სამსახურებრივი მოწმობის საზოგადოებაში დემონსტრირებისაგან.

თანამშრომელს ეკრძალება სამსახურებრივი მოწმობის სხვა პირისთვის გადაცემა.

## **უფაქტურობა და პროფესიონალიზმი**

თანამშრომელი ვალდებულია პროფესიონალიზმის მაღალი ხარისხითა და პასუხისმგებლობით შეასრულოს მასზე კანონით დაკისრებული მოვალეობები.

დაკისრებული მოვალეობის განხორციელებისას, თანამშრომელი უნდა ხელმძღვანელობდეს მიუკერძოებლობის პრინციპით.

თანამშრომელი პროფესიული მოვალეობის შესრულებისას უნდა უნერგავდეს ყველა მხარეს კანონის უზენაესობისადმი პატივისცემას.

## კოლეგებთან ურთიერთობა

კოლეგებთან ურთიერთობისას თანამშრომელი უნდა ხელმძღვანელობდეს პროფესიული სოლიდარობის პრინციპით. კერძოდ, თანამშრომელი:

- ა) ხელს უნდა უწყობდეს კოლეგებს შორის ურთიერთდობის დამკვიდრებას და თავს უნდა არიდებდეს პირადი თუ სხვა სახის კონფლიქტების წარმოშობას ან გაღვივებას;
- ბ) საკუთარ გამოცდილებას უნდა უზიარებდეს იმ კოლეგებს, რომელთა კვალიფიკაცია და სამუშაო გამოცდილება ამას საჭიროებს;
- გ) თავს უნდა იკავებდეს კოლეგის საქმიანობაში ჩარევისაგან;
- დ) არ უნდა ითხოვდეს კოლეგისაგან ისეთი მომსახურების განწევას, რომელიც გაართულებს მისთვის დაკისრებული მოვალეობის შესრულებას;
- ე) წინასწარ განზრახულად არ უნდა შეიყვანოს კოლეგა შეცდომაში;
- ვ) ტაქტიანად უნდა მიუთითებდეს კოლეგას, მის მიერ დაშვებულ შეცდომაზე და ხარვეზებზე;
- ზ) უნდა ითვალისწინებდეს პროფესიული სოლიდარობის და ჯანსაღი სამუშაო გარემოს შექმნისათვის აუცილებელ სხვა პრინციპებსა და ნორმებს.
- თ) დაუშვებელია კოლეგასთან ურთიერთობისას ხმამაღლა საუბარი ან შეუფერებელი სიტყვებისა და ჟარგონების გამოყენება.

## კონფიდენციალური ინფორმაცია

თანამშრომლის ხელთ არსებული ინფორმაცია, რომელიც ცნობილი გახდა სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისას, კონფიდენციალურია და მისი გამჟღავნება აკრძალულია.

დაუშვებელია, კოლეგისთვის კონფიდენციალური ინფორმაციის შესახებ კითხვების დასმა, თუ ეს არ არის საჭირო სამსახურებრივი აუცილებლობიდან გამომდინარე.

## შეუფერავალი მღმრთაობა

თანამშრომელი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, არ უნდა იმყოფებოდეს ალკოჰოლური თუ სხვა ძლიერმოქმედი ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ, რომელიც შეუფერებელია მისი თანამდებობისთვის.

აღსრულების ეროვნული ბიუროს ცენტრალურ აპარატში და სააღსრულებო ბიუროების შენობებში ალკოჰოლური სასმელის მიღება დასაშვებია მხოლოდ ოფიციალურ ღონისძიებათა ფარგლებში.

თანამშრომელი უნდა იცავდეს ჩაცმულობის საქმიან სტილს. დაუშვებელია, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, თანამდებობისთვის, სამუშაო გარემოსთვის შეუფერებელი სამოსით გამოცხადება.

## ინტერესთა შეუთავსებლობა

თანამშრომელი ვალდებულია თავი შეიკავოს ნებისმიერი ქმედების განხორციელებისაგან, რამაც შეიძლება ობიექტურად ეჭვქვეშ დააყენოს მისი მიუკერძოებლობა ან გავლენა იქონიოს მის სამსახურებრივ საქმიანობაზე.

აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარე



